

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი # 12

ქ. ონი

26. 12. 2019 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

საკრებულოს 33 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 წევრი: შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, ჯონი ბურდილაძე, ვასილ მაისურაძე, სონია გუგეშაშვილი, გოჩა მეტრეველი, გივი მეტრეველი, ვანო ბაღაშვილი, დავით მეტრეველი, დიმიტრი გოშაძე, დავით სხირტლაძე, ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მეტრეველი, გიორგი სულაძე, გიორგი მარკოიშვილი, მამუკა ყავლაშვილი, გიორგი მაისურაძე, ბესიკ მაისურაძე, ბექარი მაისურაძე, გელა მეტრეველი.

არ ესწრებოდა 12 წევრი: ანა ბაქრაძე, ვლადიმერ ჩლაიძე, ღვთისაგარ ბაკურაძე, ჭაბუკა კერვალიშვილი, სერგო ლობჯანიძე, კესო ჩარკვიანი, შორენა რეხვიაშვილი, ნოდარ ბურდილაძე, აველ ორდინიძე, ირმა სტეფნაძე-იაშვილი, როზა ჩალაძე, ალექსანდრე ბერიშვილი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი ემზარ საბანაძე, მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ვალერიან გობეჯიშვილი, საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი, მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი მარიზა რაზმაძე, ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე ლუკა ჩიხრაძე და ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლობჯანიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი-ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, მერიიდან შემოვიდა საკრებულოს სხდომის დაწყების წინ და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დასამატებლად საჭიროა კენჭისყრა.

გაიმართა კენჭისყრა

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა-საკითხი, ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ, დაემატოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს, განსახილველად.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანაძე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

2. ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანაძე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანაძე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მარიზა რაზმაძე-მერიის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი/

5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სონია გუგუშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გიორგი მარკოიშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე
მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი
დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანაძე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

თანამომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელებულ, მიმდინარე და 2020 წელს დაგეგმილ პროექტებზე და უპასუხა საკრებულოს წევრების კითხვებს.

აზრი გამოთქვეს: გივი მეტრეველმა აღნიშნა, რომ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე განიხილა ონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და შეაფასა დადებითად. წარმოდგენილი ბიუჯეტის 70% ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის, რაც მისასაღმებელია. სასურველია, აღნიშნა გ. მეტრეველმა, არ დაირღვეს მომსახურების ვადები და მეტად გამახვილდეს ყურადღება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, რისთვისაც საზედამხედველო სუბიექტების მხრიდან საჭიროა კონტროლის გამკაცრება.

ვ. მეტრეველმა ისაუბრა პროგრამული ბიუჯეტის უპირატესობაზე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომაზე 2020 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნების თაობაზე და აღნიშნა, რომ

მუნიციპალიტეტში მთავარ პრობლემად კვლავ მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდება რჩება, აგრეთვე დროულადაა მოსაგვარებელი მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურებისა და ბაგა-ბაღის შენობის საკითხები. ისაუბრა მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის გარკვეული ქმედითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე და მადლობა გადაუხადა მერს მუნიციპალიტეტში განხორციელებული მასშტაბური პროექტების გამო.

ს. გუგეშაშვილი ისაუბრა მუნიციპალიტეტის (ა)აიპ-ებში ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესებისა და (ა)აიპ-ებში ბავშვებისათვის სასურველი და სასიამოვნო სამუშაო პირობების შექმნის აუცილებლობაზე, ასევე, უძველესი კულტურული ძეგლების აღდგენის მნიშვნელობაზე და კონკრეტულად სოფ. ჯოისუბნის ეკლესიის კონსერვაციის აუცილებლობაზე.

შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ 2020 წლის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომებზე, მიღებული შენიშვნები გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერს შემდგომი რეაგირებისათვის. აღნიშნული შენიშვნები განმეორებით შემოსულ ბიუჯეტის პროექტში გარკვეულწილად გათვალისწინებულია და პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსახლეობისათვის. საკრებულოს თავმჯდომარემ წარადგინა ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარე ლუკა ჩიხრაძე და ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლობჯანიძე და აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტი მომავალ თაობაზეა ორიენტირებული და შესაბამისად, სასურველია მათი ჩართულობა და მათი წინადადებების გათვალისწინება.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოსმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანაძე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ემზარ საბანამე- მუნიციპალიტეტის მერი

თანამომხსენებელი-თინათინ ბროლაშვილი-საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმარებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. მარიზა რაზმაძე-მერიის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ და ისაუბრა იმ ცვლილებებსა და სიახლეებზე, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი პროექტი.

ბ. მარკოიშვილმა ისაუბრა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებელი თანხის 5 000 ლარამდე გაზრდის აუცილებლობაზე.

აღ. კერვალშივილმა დასვა შეკითხვა, მეტწილად რა დაავადებით მიმართავენ მოქალაქეები დახმარებისთვის სოც. დაცვის განყოფილებას და ხომ არ არსებობს სტატისტიკა, რით არის გამოწვეული აღნიშნული დაავადებათა ასეთი მზარდი სტატისტიკა? კარგი იქნება ა(ა)იპ საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს, რომელსაც ვაფინანსებთ წილობრივად, დავუკვეთოთ კვლევა აღნიშნული დაავადებების გამომწვევი მიზეზების შესწავლის მიზნით ან მოიძებნოს სხვა გზები დაავადების გამომწვევი მიზეზების გამოსაკვლევად.

შ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სოც. პაკეტი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე მაქსიმალურად მორგებულია მოსახლეობის ინტერესებს, იზრდება თანხის ოდენობა, რაც გარკვეულ შედეგებს მისცემს სოც.პაკეტით მოსარგებლე პირს.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: დამტკიცდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მოისმინეს: 5. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. ვანო ბაღაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ სხდომას წარუდგინა ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.

მოისმინეს: 6. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე/

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ სხდომას წარუდგინა ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.

მოისმინეს: 7. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომას წარუდგინა ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.

მოისმინეს: 8. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ სხდომას წარუდგინა ანგარიში 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს. გიორგი მარკოიშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

ცნობად იქნა მიღებული წარმოდგენილი ანგარიში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

შუქურა ჯაფარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე